Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

19.12.2013

პრესრელიზი

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის კვლევის პრეზენტაციას გამართავს

19 დეკემბერს, 11 საათზე, სასტუმრო „ამბასადორში“ (დიდ საკონფერენციო დარბაზში, მისამართი: თბილისი, შავთელის ქ.13) გაიმართება კვლევის - **„ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე"** ანგარიშისა და შედეგების პრეზენტაცია. კვლევა ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) მიერ, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) - ფარგლებში.

ინტერკულტურული მგრძნობელობის კვლევა დაწყებითი სკოლების მასწავლებლებში მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და მისი მიზანი იყო საქართველოს საჯარო სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძნობელობის დონის განსაზღვრა და მათგან განსხვავებული სხვადასხვა ჯგუფების მიმართ მათი დამოკიდებულებების შესწავლა.

პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან: საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების/ფონდების წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, რეინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს სახალხო დამცველთა არსებული ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლები და სხვები.

ღონისძიებაზე CCIIR - ი, დამსწრე აუდიტორიას გააცნობს რეკომენდაციებს, რომელიც ორგანიზაციამ სკოლებში მულტიკულტურული განათლების გასაუმჯობესებლად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიმუშავა.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ჯაჭვაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | ketevanjachvadze@gmail.com 595 511050